

მიმოხილვა

ნინო დობორჯგინიძე, ირინა ლობჯანიძე

ქართლის ცხოვრების პარალელური კორპუსი

სტატიის მიზანია წარმოადგინოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის პროექტი ქართლის ცხოვრების პარალელური კორპუსი, რომელიც არის კვლევაზე ორიენტირებულ მონაცემთა საკმაოდ ვრცელი სპექტრის შემცველი ხელსაწყო. პარალელური კორპუსი მოიცავს:

1. ტექსტურ ბლოკს, რომელშიც წარმოდგენილია როგორც ნაბეჭდი, ასევე ხელნაწერი ტექსტები, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე არც ერთ გამოცემაში არ ყოფილა გათვალისწინებული, მეტიც, აღწერილიც კი. ამავე ბლოკში წარმოდგენილია ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი და ამ უკანასკნელის ახალი ქართული თარგმანი. ძეგლის განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა ფილტრზე დაყრდნობით;
2. ვიზუალური მემკვიდრეობის ბლოკს, რომელშიც განთავსებულია ქართლის ცხოვრების შემცველ ხელნაწერებში დაცული მინიატურების, ხელნაწერთა ყდებისა და კალიგრაფიის ნიმუშები.

სტატიის მიზანია წარმოადგინოს კორპუსის შექმნასთან, დიზაინთან და სტრუქტურასთან დაკავშირებული კვლევითი საკითხები.

საკვანძო სიტყვები: ხელნაწერების კორპუსი, ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი.

1. შესავალი

პროექტის შექმნის მთავარი მიზანი იყო ქართლის ცხოვრების ტექსტის შემცველი ყველა გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ხელნაწერის (973 წლიდან 1873 წლამდე), ასევე ადრინდელი გამოცემების ხელახლა დოკუმენტირება თანამედროვე კორპუსული სტანდარტების შესაბამისად, მათი განთავსება კორპუსში და სამომავლოდ ხელნაწერი მემკვიდრეობის მომზადება კრიტიკული გამოცემისთვის. თავის მხრივ, აღნიშნული კორპუსი არის ერთ-ერთი ნაწილი უფრო დიდი პროექტისა, ქართული ენის კორპუსი (<http://corpora.iliauni.edu.ge/>), რომლის მთავარი ამოცანაა ქართული ენის დოკუმენტირება თანამედროვე ციფრული სტანდარტებით და მისი კვლევა დიაქრონული თვალსაზრისით. აღნიშნული ინტერნეტ-რესურსი მოიცავს ორი ტიპის თავისუფალი წვდომის კორპუსებს: მონოლინგვურს და ბილინგვურს. ბილინგვური, თავის მხრივ, მოიცავს სხვადასხვა პერიოდში ქართულიდან უცხო ენებზე თარგმნილ ტექსტებს. ამ ეტაპზე მასში განთავსებულია ვეფხისტყაოსნის და ქართლის ცხოვრების პარალელური კორპუსები, 2016 წელს დასრულდება მუშაობა შუშანიკის წამების ქართულ-სომხურ და პეტრე იბერის ცხოვრების ქართულ-სირიულ პარალელურ კორპუსებზე.

ქართლის ცხოვრების ბილინგვურ ნაწილში წარმოდგენილი ძველი ქართული ტექსტი დაბალანსებულია მის უძველეს სომხურ თარგმანთან და ასევე ილ. აბულაძის მიერ ძველი სომხურიდან შესრულებულ ახალ ქართულ თარგმანთან (აბულაძე 1953). როგორც ცნობილია, ძველი ქართული ორიგინალი და მისი ძველი სომხური თარგმანი რობერტ ტომსონმა თარგმნა ინგლისურად და გამოსცა ოქსფორდში (ტომსონი 1996). პარალელური კორპუსის ნაწილში სამომავლოდ ვგეგმავთ ამ თარგმანისა და ასევე XIX-XX ს. შესრულებული ფრანგული და გერმანული თარგმანების ჩართვას.

ამ ეტაპზე კორპუსის ტექსტურ ბლოკში წარმოდგენილია 45 დღემდე გამოუქვეყნებელი და 10 გამოქვეყნებული ხელნაწერი. საძიებო სისტემა მომხმარებელს აძლევს ინფორმაციის მოპოვების საშუალებას როგორც კონკრეტული ტექსტიდან, ან სასურველი ხელნაწერებიდან და გამოცემებიდან, ისე მთლიანად კორპუსიდან. თითოეული სიტყვიდან შესაძლებელია კონტექსტზე გადასვლა.

2. ქართლის ცხოვრების კორპუსი: მიზნები და ამოცანები

ქართლის ცხოვრების, ყველაზე გავლენიანი ქართული ისტორიული ნარატივის, სამეფო კარის ოფიციალური ისტორიის, ინტერპ-

რეტაციისა თუ იდეოლოგიური შესწორება-გადაკეთების, ტექსტის სრული რევიზიის პროცესები საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. აღნიშნული ნარატივი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლინგვისტური და ისტორიული კვლევის თვალსაზრისით საერთაშორისო დონეზეც, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა მისი კვლევა და შეფასება თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით.¹

ქართლის ცხოვრებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არა მარტო ქართულ, არამედ ზოგადად, შუა საუკუნეების საისტორიო მწერლობაზე. ცნობილია, რომ იგი მალევე, მე-12 საუკუნეში ითარგმნა სომხურად, სომხურიდან კი ქართლის ცხოვრების ეპიზოდები გადავიდა სირიულ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, მიხეილ დიდის ქრონიკაში, საიდანაც გავრცელდა შუა საუკუნეების არაერთ საისტორიო პროზაში.

ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით მეოცის დასაწყისში მიაქცევს ყურადღება დასავლელმა მეცნიერებმა, რომ ძველი ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტოპოსი, კერძოდ, ნარატივი იმის შესახებ, რომ ბაბილონის გოდლის დანგრევა გამოიწვია ცაში აწვდენილი გოდლის წვერზე არსებულმა გაუსაძლისმა სიცხემ, რომელმაც ოქროც კი დააღწია, არქეტიპული სახით სწორედ ქართლის ცხოვრებაშია შემონახული.²

ტექსტის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და მის მიმართ ინტერესის მიუხედავად, ქართლის ცხოვრების ტექსტის ისტორია დღემდე არ არის ჯეროვნად შესწავლილი; არც ერთი აქამდეელი გამოცემა არ ითვალისწინებს ხელნაწერთა სრულ სპექტრს, არ ეყრდნობა ტექსტუალური კრიტიციზმის თანამედროვე პრინციპებს. ასე რომ, ჩვენი მთავარი საისტორიო თხზულების არქეტიპული ტექსტის დადგენა თანამედროვე ტექსტოლოგიურ მეცნიერებაში აპრობირებული მეთოდებით, ანუ კრიტიკული გამოცემის მომზადება მთელი ტექსტური

1 კომპიუტერული თვალსაზრისით ქართლის ცხოვრების დამუშავება მ. გურაბანიძემ წამოიწყო (გურაბანიძე 2004), მაგრამ მისი კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა არა ამ ტექსტის რეალური დამუშავება, არამედ იმის აღწერა, თუ როგორ არის შესაძლებელი კომპიუტერული დამუშავების მეთოდების გამოყენება ისტორიული ნაწარმოების კვლევის დროს.

2 ჯერ კიდევ ჰ. გელცერმა (Gelzer 1898) შენიშნა, რომ ბაბილონის გოდლის ისტორიის შესახებ ჯუანშერის თხზულებაში დაცული სიცხისა და ოქროს დნობის მოტივი (გოდლის მაშენებლები ველარ აგრძელებდნენ მუშაობას წარმოდგენილი სიცხის გამო, რომელიც ოქროსაც კი ადნობდა) არქეტიპული ტექსტიდან უნდა მომდინარეობდეს და ტექსტის უძველეს ფენას უნდა ასახავდეს; სწორედ აქედან უნდა გავრცელებულიყო ეს მოტივი სხვა საისტორიო თხზულებებში.

მემკვიდრეობის (მათ შორის თარგმანების) გათვალისწინებით, სამომავლო ამოცანად რჩება.

ამ წინაპირობების გათვალისწინებით ქართლის ცხოვრების კორპუსის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ტექსტის შემცველი მთელი ხელნაწერი მემკვიდრეობის დოკუმენტირება, ანოტირება და განთავსება პორტალზე შემდგომი კვლევისა და არქტიპული ტექსტის დადგების მიზნით.

ვფიქრობთ, პარალელური კორპუსი ხელს შეუწყობს როგორც სწავლების, ისე კვლევის სფეროებს, დაეხმარება არა მარტო სტუდენტებს, არამედ მკვლევრებს, შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთით დაინტერესებულ მეცნიერებს.

არაერთგვაროვანი ტექსტური მასალის გათვალისწინებით, ქართლის ცხოვრების კორპუსის პროექტი მიზნად ისახავდა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

ა) ყველა არსებული ხელნაწერისა და მათი გამოცემული ვერსიების მოგროვება და მომზადება ელექტრონული გამოცემისთვის;

ბ) ტექსტის დოკუმენტირება თანამედროვე ლინგვისტური და ტექნოლოგიური სტანდარტებით;

გ) ტექსტის ხელმისაწვდომობა ონ-ლაინ სივრცეში აკადემიური და კვლევითი აქტივობების უზრუნველსაყოფად;

წარმოდგენილი პუბლიკაცია არ ეხება შუა საუკუნეების ამ მნიშვნელოვან ტექსტთან დაკავშირებულ საისტორიო, ლიტერატურულ, ან ლინგვისტურ საკითხებს. ჩვენ შევეხებით ამ ჰიპერტექსტული ელექტრონული გამოცემის მეთოდოლოგიურ მხარეს, ზოგადად, ელექტრონული გამოცემის სტანდარტებს, ჰიპერტექსტული გამოცემის უპირატესობას ტექსტთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის კვლევაში.

3. მეთოდოლოგია და თეორიული წინაპირობები

კორპუსის ენათმეცნიერებაში ფართოდ აღიარებული დეფინიციის თანახმად, კორპუსი არის განსაზღვრული პარამეტრებითა და პრინციპით ერთმანეთთან დაკავშირებული ტექსტების კრებული. უფრო ვრცლად, კორპუსის განსაზღვრა შესაძლებელია შემდეგი ციტატების მოყვანის გზით:

1. „კორპუსი არის ტექსტების კრებული, რომელიც ასახავს კონკრეტულ ენას, დიალექტს, ან ენის რომელიმე სხვა ელემენტს, რომელიც გამოიყენება ლინგვისტური ანალიზის დროს“³
2. „კორპუსი გაიგივებულია ტექსტის ფრაგმენტების კრებულთან.

3 Francis 1992:17

ტექსტი შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი ან ნარევი ხასიათისაა, და ფრაგმენტი შეიძლება იყოს ნებისმიერი სიგრძის⁴⁴

ქართლის ცხოვრების პარალელური კორპუსის მეთოდოლოგიური საფუძველი მჭიდროდ უკავშირდება: ა) კორპუსის ტაქსონომიას; ბ) სხვაობას გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ხელნაწერებს შორის (კორპუსში წარმოდგენილ ხელნაწერთა უმეტესობა ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში); გ) სტანდარტებს, რომლებიც განაპირობებენ ტექსტური მემკვიდრეობის შესწავლას.

ქართლის ცხოვრების პარალელური კორპუსის შექმნისას მნიშვნელოვანი იყო შემდეგი საკითხები:

1. **ინტერდისციპლინარული მიდგომა ტექსტისადმი.** მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ნაბეჭდი და ხელნაწერი ტექსტების მოგროვების, სისტემატიზაციისა და ინტერნეტში წვდომის უზრუნველყოფა ზემოხსენებული ტექსტის კორპუსული შესწავლის მიზნით;
2. **კორპუსის დიზაინი და წარმოდგენითობა.** კორპუსის მთავარი ბლოკი სტრუქტურირებულია შემდეგნაირად: ა) მონოლინგვური ნაწილი; ბ) ბილინგვური ნაწილი, და; გ) ვიზუალური მემკვიდრეობა;
3. **მანქანურად წაკითხვადი სტანდარტი.** გასათვალისწინებელი იყო: ა) ძირითადი სტანდარტები, როგორცაა: ბუნებრივი ენის დამუშავების ISO სტანდარტი: წერილობითი ტექსტის სიტყვებად სეგმენტირების შესახებ (ISO 24614), მორფო-სინტაქსური ანოტირება (MAF) (ISO 24611, 246121 და 24615), თვისებების სტრუქტურების შესახებ (ISO 24610), ლექსიკური დონის მონიშვნა (LMF) (ISO 24613); ბ) დამატებითი სტანდარტები, როგორცაა: მონაცემების კატეგორიების რეგისტრი (ISO 12620), ენობრივი კოდები (ISO 639 ან IETF BCP-47), სკრიპტ-კოდები (ISO 15924), ქვეყნის კოდები (ISO 3166), თარიღი და დრო (ISO 8601) და უნიკოდი (ISO 10646) [ISO-TC37] და TEI XML P5 რეკომენდაციები.

4. კორპუსზე წვდომა და ინფორმაცია მეტა-მონაცემების შესახებ

კორპუსში შეტანილ ტექსტებს თან ახლავს ინფორმაცია მეტამონაცემების შესახებ. მეტამონაცემები განისაზღვრება როგორც „მონაცემები მონაცემების შესახებ“⁴⁵ და მოიცავს დამატებით ინფორმაციას

4 Aarts 1991: 45.

5 Bournard 2005: 30.

კორპუსში მოთავსებული ტექსტების შესახებ. სხვადასხვა ენობრივ კორპუსებში მეტამონაცემების სქემები ერთმანეთისგან განსხვავდება და შეიძლება იყოს როგორც ძალიან მარტივი, ასევე, საკმაოდ რთული. ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული მეტა-მონაცემების ტიპებია: ა) ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია კორპუსის ტექსტების შესახებ; ბ) აღწერითი ინფორმაცია კორპუსის კომპონენტების შესახებ; გ) დოკუმენტური ტიპის ინფორმაცია, უშუალოდ, კორპუსის შესახებ. TEI-ის რეკომენდაციები მოიცავს მეტა-მონაცემების ვრცელ სპექტრს და აძლევს მკვლევარს საკმაოდ რთული ძიების უზრუნველყოფის საშუალებას ანოტირებული მონაცემებისა და სტრუქტურირებული დოკუმენტების მართვის თვალსაზრისით.

ქართლის ცხოვრების პარალელურ კორპუსში შესულია როგორც ნაბეჭდი, ისე ხელნაწერი ტექსტები და, ბუნებრივია, რომ მათი მეტა-მონაცემების სქემებიც განსხვავდება, რადგანაც გვხვდება:

ნაბეჭდი ტექსტი, რომლის საფუძველს წარმოადგენს კონკრეტული ხელნაწერი ან ხელნაწერები;

ნაბეჭდი ტექსტი, რომლის საფუძველს წარმოადგენს უკვე გამოცემული ტექსტი;

ხელნაწერი, რომელიც არსად გამოცემულა და ბოლოს

ხელნაწერი, რომელიც უკვე იყო გამოცემული.

შესაბამისად, თითო ტექსტი იყო ანოტირებული მეტა-მონაცემების წინასწარ განსაზღვრული სქემის მიხედვით. დამატებითი ვებ-ინტერფეისი იყო შექმნილი (იხ. სურათი 1) ტექსტების ასატვირთად და ტექსტების ფორმატის გასარჩევად, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა საკითხი ეხებოდა გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ტექსტებს.

| № | ხელნაწერის სახელი | ავტორი | კოლეფი და მკვ. | აღწერა | ფასტავალი იხირობა |
|----|-------------------------------|-----------|----------------|--------|-------------------|
| 11 | ქართული წიგნის ასია გრაფიკული | ხელნაწერი | კოლეფი და მკვ. | აღწერა | ფასტავალი იხირობა |
| 12 | კრებული № 195 | ხელნაწერი | კოლეფი და მკვ. | აღწერა | ფასტავალი იხირობა |
| 13 | კრებული № 196 | ხელნაწერი | კოლეფი და მკვ. | აღწერა | ფასტავალი იხირობა |
| 14 | კრებული № 200 | ხელნაწერი | კოლეფი და მკვ. | აღწერა | ფასტავალი იხირობა |
| 15 | ქართული სკოლის (საქმე) 1822 | ხელნაწერი | კოლეფი და მკვ. | აღწერა | ფასტავალი იხირობა |
| 16 | სტრუქტურა ანგარი | ხელნაწერი | კოლეფი და მკვ. | აღწერა | ფასტავალი იხირობა |
| 17 | ქართული სკოლა | ხელნაწერი | კოლეფი და მკვ. | აღწერა | ფასტავალი იხირობა |
| 18 | სტრუქტურა ანგარი | ხელნაწერი | კოლეფი და მკვ. | აღწერა | ფასტავალი იხირობა |
| 19 | კრებული | ხელნაწერი | კოლეფი და მკვ. | აღწერა | ფასტავალი იხირობა |
| 20 | სტრუქტურა ანგარი | ხელნაწერი | კოლეფი და მკვ. | აღწერა | ფასტავალი იხირობა |
| 21 | სტრუქტურა ანგარი | ხელნაწერი | კოლეფი და მკვ. | აღწერა | ფასტავალი იხირობა |
| 22 | ქართული სკოლის ფასტავალი | ხელნაწერი | კოლეფი და მკვ. | აღწერა | ფასტავალი იხირობა |
| 23 | ქართული სკოლის ასია | ხელნაწერი | კოლეფი და მკვ. | აღწერა | ფასტავალი იხირობა |

სურათი 1

ბუნებრივია, რომ ინფორმაცია მეტა-მონაცემების შესახებ დამოკიდებულია ტექსტის ტიპზე, მაგრამ კორპუსის ყველა ფაილს ახლავს შემდეგი ძირითადი ინფორმაცია:

- 1. პროექტის აღწერა:** დამფინანსებელი ორგანიზაცია, წამყვანი ორგანიზაცია, პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, პასუხისმგებელი პირის ფუნქცია, პასუხისმგებელი პირი, ორგანიზაცია, პროექტის სახელწოდება;
- 2. ფაილის აღწერა:** ფაილის ავტორის გვარი, სახელი, ფაილის წყარო, ფაილის ენა, ფაილის ზომა, კბ, ფაილის შექმნის თარიღი, ფაილის შექმნის ადგილი, ინფორმაცია ფაილში შეტანილი ცვლილებების შესახებ და ა.შ.;
- 3. ნაბეჭდი ტექსტის დანასიათება:** ტექსტის სახელწოდება, ავტორის სახელი, გვარი, წყარო ენა, ტექსტის შექმნის თარიღი, ტექსტის შექმნის ადგილი, გამომცემელი, გამომცემის ადგილი, გამომცემის თარიღი, რედაქტორი, მთარგმნელი, ილუსტრატორი, ტომების/ნომრების რაოდენობა, გვერდების რაოდენობა, ტექსტის გვერდები -დან -მდე, ISBN/ISSN, წვდომა, გამავრცელებელი, უფლებამოსილი ორგანიზაცია, შენიშვნები;
- 4. ხელნაწერის აღწერა:** შენახვის ადგილი, საცავის სახელწოდება, საცავის ნომერი, კოლექციის სახელწოდება, დამატებითი საიდი.

კოდი, კატალოგის ნომერი, ხელნაწერის ავტორის, გადამწერის ან შემდგენლის გვარი, სახელი, ხელნაწერის ავტორის ფუნქცია, ხელნაწერის სახელწოდება;

5. **ხელნაწერის ენა და საწერი სისტემა:** ხელნაწერის ენა და ანბანის ტიპი (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული);
6. **ხელნაწერის ფიზიკური მდგომარეობა:** ობიექტის ფორმა, მასალა, ქალაქი, ფურცლების რაოდენობა, ფურცლის ზომა, სიმაღლე, სიგანე, ხელნაწერის მდგომარეობა (ცვლილებების, დაზიანებების აღწერა), ხელნაწერის ფურცლების დანომრვის აღწერა (მაგ., რექტო, ვერსო და ა.შ.), ფურცლების თანმიმდევრობის დახასიათება (მაგ. არეული თანმიმდევრობა და ა.შ.);
7. **ხელნაწერის ფორმა:** ხელის აღწერა, სკრიპტის აღწერა, მინიატურებისა და დეკორაციების აღწერა, მინაწერები;
8. **ხელნაწერის ისტორია:** ხელნაწერის შექმნის ადგილი, ხელნაწერის შექმნის თარიღი (...-დან ... -მდე, ინფორმაცია ხელნაწერის შესახებ საცავში მოხვედრამდე (არსებობის შემთხვევაში), ინფორმაცია ხელნაწერის შექმნისა ან ჩუქების შესახებ.


აღნიშნული ინფორმაციის მოგროვება და მისი დამუშავება საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი ეხება გამოუცემელ ხელნაწერებს.⁶

ორი განსხვავებული საძიებო სისტემა იყო შექმნილი ინფორმაციის მისაღებად. პირველი აძლევს მკვლევარს სიტყვის, მისი გამოყენების კონტექსტისა და, უშუალოდ, დოკუმენტის ნახვის შესაძლებლობას (იხ. სურათი 2).

6 პროექტზე მუშაობდნენ: ნ. დობორჯგინიძე (პროექტის ხელმძღვანელი), ი. ლობჯანიძე, ს. ბერეკაშვილი (პროექტის კოორდინატორები), გ. მირიანაშვილი (პროგრამისტი), მკვლევრები და ასისტენტები: ც. ხახვიაშვილი, ნ. ბილანიშვილი, გ. შუბითიძე, შ. თუმანიშვილი და ნ. დათაშვილი. მათ უწევდათ როგორც ხელნაწერების, ასევე მინაწერების ამოკითხვა, საჭირო ფორმატამდე დაყვანა და მეტა-მონაცემების სისტემაში ასახვა.




ხოლო მეორე აძლევს მკვლევარს უფრო რთული ძებნის განხორციელების საშუალებას, რომელიც ეფუძნება ტექსტის აღწერას როგორც გამოქვეყნებული, ასევე გამოუქვეყნებელი ხელნაწერებისათვის (იხ. სურათი 3).



სხვა ტიპის, კერძოდ, მეტყველების ნაწილებისა და მორფოლოგიური კატეგორიების ამოცნობაზე ორიენტირებული ანოტირება წარმოდგენილი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება ძველი ქართული ენის მორფოლოგიურ ანალიზატორზე მუშაობა.

ცნობილია, რომ ქართლის ცხოვრების ხელნაწერები იწერებოდა ასომთავრულად, ნუსხურად და მხედრულად. ზოგიერთი ტექსტი იყო ნარევი ხასიათისაა, კერძოდ, ასომთავრული და მხედრული, სხვა ტექსტები იყო მთლიანად ნუსხური. პრობლემას წარმოადგენდა ის, თუ როგორ გვეჩვენებინა ასეთი სხვაობა ტექსტებს შორის და შეგვენარჩუნებინა ტექსტის ამოკითხვის შესაძლებლობა მკითხველის მიერ. ამავდროულად, პროექტის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ხელნაწერის ციფრული ფორმატის დაცვა. შესაბამისად, ხელნაწერებში გამოყენებული ანბანი შენარჩუნდა და ძებნის სისტემა ორიენტირებულია ძველი ქართული ტექსტიდან ინფორმაციის ამოღებაზე მიუხედავად იმისა, თუ რომელი ანბანია წარმოდგენილი ხელნაწერში, ან თუ რომელ ანბანს იყენებს მომხმარებელი. მომხმარებელს, საბოლოოდ, ეძლევა ტექსტის მხედრულად ამოკითხვის შესაძლებლობა და პარალელურ რეჟიმში ხელნაწერის ფორმატის ნახვა (იხ. სურათები 4-5).





ლილაკი „მხედრული“ აძლევს მომხმარებელს ნუსხურიდან მხედრულზე და პირიქით გადასვლის შესაძლებლობას.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 1953 წელს ი. აბულაძის მიერ გამოცემული ქართულ-სომხური ტექსტი წარმოდგენილია პარალელურ რეჟიმში და სისტემა უზრუნველყოფს ძებნის შესაძლებლობას სამი ტიპის ტექსტში; ამავდროულად, მომხმარებელს ეძლევა ტექსტების ნახვის შესაძლებლობა ლილაკებზე დაწკაპუნების გზით „თანამედროვე ქართული“, „სომხური“ და „ძველი ქართული“ (იხ. სურათი 6).



კორპუსის დიზაინი და ტაქსონომია

კორპუსში მთავარია ის ინფორმაცია, რომლის ნახვა შეუძლია მის ძირითად მომხმარებელს. ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანი იყო თავიდანვე იმისი განსაზღვრა, თუ როგორი ტიპის ინფორმაციის ნახვა იქნებოდა შესაძლებელი ონლაინ-სივრცეში. თუმცა პროექტის მსვლელობისას აღნიშნული ინფორმაცია ექვემდებარებოდა განსაზღვრულ ცვლილებებს. ამ ეტაპზე, ქართლის ცხოვრების პარალელური კორპუსი მოიცავს შემდეგი სახის ძირითად ინფორმაციას:

1. კორპუსი, რომელიც ორ ამოცანას ემსახურება: ა) გვაძლევს ყველა ქართულენოვანი ბეჭდური გამოცემისა და საქართველოში დაცული ხელნაწერის ელექტრონული ვერსიების ნახვისა და წაკითხვის შესაძლებლობას; ბ) გვაძლევს დაბალანსებული და პარაგრაფის დონეზე გასწორებული ქართული და სომხური ტექსტების ნახვის შესაძლებლობას. შესაბამისად, საძიებო სისტემის გამოყენებით შესაძლებელია როგორც ცალკეული გამოცემების, ხელნაწერებისა და სომხური თარმანის, ასევე ყველა არსებული ტექსტური რესურსის ნახვა.

2. ინფორმაცია მეტა-მონაცემების შესახებ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ხელნაწერებში სხვადასხვა დროს შექმნილი მინაწერების შესახებ;
3. ვიზუალური მემკვიდრეობის ბლოკი მომზადდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით. მასში განთავსდა, თითო გვერდი ყოველი ხელნაწერიდან, ასევე ილუსტრაციები და ყდის ნიმუშები.

ქართლის ცხოვრების პარალელური კორპუსის როგორც ნაბეჭდ, ასევე ხელნაწერ ტექსტებზე წვდომა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: <http://corpora.iliauni.edu.ge>

დამოწმებანი

- Aarts, J., 1991:** “Intuition-based and observation-based grammars” *English Corpus Linguistics. Studies in Honour of Jan Svartvik*, 44-62.
- Bournaud, L. 2005:** „Metadata for Corpus Work” B *Developing Linguistic Corpora: A Guide to Good Practice*, M. Wynne, Oxford: Oxford Books, 30-46.
- Francis, W. N., 1992:** “Language corpora BC” *Directions in corpus linguistics*. J. Svartvik, Berlin: Mouton de Gruyter, 17-32.
- Gelzer, H. 1898.** Sextus Julius Africanus und die byzantinische Chronographie, von Heinrich Gelzer, Leipzig.
- გურაბანიძე მ. 2004:** ქართული საისტორიო წყაროების კომპიუტერული დამუშავება ლეონტი მროველის თხზულებათა მიხედვით. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.
- McEnery, T., Wilson, A., 2011:** *Corpus Linguistics*. Edinburgh: Edinburgh University Press.
- Meurer, P., 2011:** “Constructing an annotated corpus for Georgian – Tools and resources” *Kutaisi Symposium on Language, Logic and Computation*, Batumi.
- Sinclair, J., 1991:** *Corpus, concordance, collocation: Describing English Language*. Oxford: Oxford University Press.
- Tognini-Bonelli, E. 2001:** *Corpus linguistics at work*. Amsterdam: Benjamins.
- Thomson 1996:** Robert Thomsoan, *Rewriting Caucasian History: The Mediaeval Armenian Adaptation of the Georgian Chronicles. The Original Georgian Texts and The Armenian Adaptation*, Oxford: Clarendon Press